საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

პროფესიონალიზმი, ერთობა და სოლიდარობა
აძლიერებს პროფკავშირს

ვიცავთ დემოკრატიას

თითოეული წევრის პროფესიონალიზმი და
საზოგადოებრივი აქტივობა
ამაღლებს პროფკავშირის როლს

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) 64 სტრუქტურული ქვედანაყოფი - რაიონული/საქალაქო ორგანიზაციები და აჭარის რესპუბლიკური საბჭო აერთიანებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის 39 142 წევრსა და 2182 პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას

სპმთპ წევრია მასწავლებელთა საერთაშორისო გაერთიანების - განათლების ინტერნაციონალის (EI) და ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის (ETUCE)

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა (სპმთპ) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, 2017 წლის 16 მარტს, გაფორმებული „დარგობრივი შეთანხმების" თანახმად სპმთპ აღიარებულია სოციალურ პარტნიორად

სპმთპ-ის პრეზიდენტი წარმოდგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომისიებში და 2021 წლიდან საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ შექმნილ ორ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში

Education International
განათლების
ინტერნაციონალი

EUROPEAN TRADE UNION
COMMITTEE FOR EDUCATION
ევროპის პროფკავშირების
განათლების კომიტეტი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქმიანობას წარმართავს ორი მიმართულებით:

I დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვა

II ზრუნვა წევრთა პროფესიული განვითარებისათვის

სპმთპ-ის ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. **პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულების ვადა არანაკლებ 24 სამუშაო დღე, განისაზღვრა არანაკლებ 40 სამუშაო დღით;**
2. **შეიცვალა სასერტიფიკაციო დანამატების გაანგარიშების წესი პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის პროპორციულად.** 2010 წლიდან, ამ ცვლილებამდე, საჯარო სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგები ნაწილობრივი დატვირთვის შემთხვევაში ვერ იღებდნენ სერტიფიცირების დანამატს;
3. **განისაზღვრა საჯარო სკოლების პედაგოგთა ზეგანაკვეთური (18 საათის ზევით) დატვირთვის ანაზღაურება.** შედეგად, 18 საათზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში, ყოველი მომდევნო საათი ანაზღაურდება საბაზო ხელფასზე დანამატის სახით;
4. **2014 წელს, მოვითხოვეთ საჯარო სკოლის პედაგოგთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდა, იმ გათვლით, რომ იგი გაუთანაბრდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს.** ჩვენი მოთხოვნა ნაწილობრივ შესრულდა და 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდა განხორციელდა 2 ეტაპად, ჯამში, საბაზო ხელფასი გაიზარდა 33 %-ით;
5. **სპმთპ-ის ინიციატივითა და კომპლექსური ღონისძიებებით,** 2016 წლის 16 დეკემბერსა და 2017 წლის 19 მარტს ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესახებ” განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში, კერძოდ, **გაუქმდა ნორმა, სკოლის გარე ტერიტორიაზე, არასამუშაო საათებში ჩადენილი ქმედებისათვის, პედაგოგისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. ამასთანავე, დისციპლინური წარმოების დაწყების სამწლიანი ვადა, 1 წლამდე შემცირდა;**
6. **სპმთპ-ის მოთხოვნის საფუძველზე, 2016 წლის დეკემბრიდან, 2000 წლის ჩათვლით მიღებული ოთხწლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირებს შრომის ანაზღაურება მიეცემათ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად.** ამ ცვლილებებამდე, 2000 წლის ჩათვლით მიღებული ოთხწლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებს შრომის ანაზღაურება მიეცემოდათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიხედვით;
7. 2014-2015 წლებში, სპმთპ აქტიურად ჩაერთო **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის საპარლამენტო კომიტეტებში განხილვის პროცესში** და სპმთპ-ის ინიციატივით **კანონპროექტს დაემატა ნორმა „მუნიციპალიტეტი ვალდებულია სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობები დაამტკიცოს პროფესიულ კავშირთან კონსულტაციით“**;
8. 2017 წელს, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა დაწყებულიყო საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის პროცესი. სკოლამდელი დაწესებულებების რეორგანიზაციის საფუძვლით, სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულებს ხელი მოაწერინეს მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე შეტყობინების გაცნობაზე. **სპმთპ-ის აქტიური ჩართულობით უკანონო გათავისუფლებების პროცესი შეჩერდა სამ მუნიციპალიტეტში და მოიხსნა დღის წესრიგიდან საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებების ლიკვიდაციის საკითხი, ქვეყნის მასშტაბით;**

9. **სპმთპ-ის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2017 წლის ივნისიდან, საჯარო სკოლის მასწავლებლებს საავადმყოფო ფურცელი უნაზღაურდებათ სრული ხელფასიდან, დანამატების ჩათვლით.** ამ ცვლილებამდე, 7 წლის განმავლობაში, პედაგოგები ბიულეტენის ანაზღაურებას იღებდნენ მხოლოდ თანამდებობრივი სარგოდან, დანამატების გარეშე.ნორმატიულ აქტებში არსებული ბუნდოვანი ნორმებიდან გამომდინარე,საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის ცვლილებები დაემატა **„დროებითი შრომის - უუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 87/ნ ბრძანებას;

10. **2017 წლის იანვარში, ჩვენი აქტიური ჩართულობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების ნაწილობრივ დადასტურების (1,4,7 კრედიტის მიღებით) თაობაზე. („მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“);**

11. 2019 წელს, განათლების მინისტრის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საპენსიო ასაკის მასწავლებლებს, პროფესიიდან გასვლის სურვილის შემთხვევაში გადაეცათ სახელმწიფო ჯილდო, 2 წლის ხელფასის ანაზღაურებით. **განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაზიარებული იქნა ჩვენი ინიციატივა, პროფესიიდან გასული მასწავლებლებისათვის მასწავლებლის დაზღვევის სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნების თაობაზე;**

12. **2020 წლის თებერვალში, ჩვენი მოთხოვნების საფუძველზე, ცვლილებები შევიდა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. შედეგად, პრაქტიკოსი/უფროსი/წამყვანის სტატუსის მასწავლებლისათვის დამატებითი ვადები განისაზღვრა. ალბათ გახსოვთ, 2020 წლის იანვრის ბოლოს უნდა დასრულებულიყო კარიერული წინსვლის აქტივობების/კრედიტქულების დაგროვების პროცესი, რის გამოც ბევრმა უფროსმა და წამყვანმა მასწავლებელმა ვერ მოასწრო სტატუსის ამაღლების ყველა აქტივობის განხორციელება,** ასევე, სერიოზული პრობლემები შეიქმნა სისტემაში პრაქტიკოსი მასწავლებლების შენარჩუნების თაობაზეც;

13. **2021 წელს, საგნობრივი ან/და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების შემთხვევაში, სკოლის გარეთ დარჩენილ პრაქტიკოს მასწავლებლებს მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ საჯარო სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დასაქმებულიყვნენ უფროსი მასწავლებლის სტატუსით;**

14. **2020 წლის 30 აპრილამდე გამოცხადებული მასწავლებელთა კომპეტენციების დადასტურების გამოცდებზე რეგისტრაცია არ/ვერ გაიარა მასწავლებელთა ნაწილმა, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე. სქემის მოთხოვნების თანახმად, პრაქტიკოს მასწავლებლებთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2020 წლის აგვისტოში. სპმთპ-ის აქტიური ჩართულობით, პრაქტიკოსი მასწავლებლების ნაწილი შეინარჩუნა სკოლებმა დროებითი ხელშეკრულებით. სპმთპ-ის მოთხოვნით, 2020 წლის 27 ნოემბერს ცვლილება შევიდა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, რომელიც შეეხო ზემოაღნიშნულ როგორც დროებით ხელშეკრულებაზე მოქმედ, ასევე სკოლის მიღმა დარჩენილ პრაქტიკოს მასწავლებლებს.** ორივე შემთხვევაში, პრაქტიკოს მასწავლებლებს შეუნარჩუნდათ დაგროვილი კრედიტქულები, მიეცათ შესაძლებლობა ხელმეორედ გაევლოთ საგამოცდო რეგისტრაცია 2021 წელს და ზაფხულის გამოცდებზე, საგნობრივი ან/და პროფესიული კომპეტენციები დაედასტურებინათ ნაწილობრივ. **უპრეცენდენტო გადაწყვეტილება იყო სკოლის გარეთ დარჩენილი პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის, რომელთაც მიეცათ უფლება, სქემის მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში მონაწილეობა მიეღოთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონკურსში და სკოლაში დაბრუნებულიყვნენ უფროსი მასწავლებლის სტატუსით;**

15. 2020 წლის ივნისში, ჩვენი მოთხოვნის შედეგად, შეიცვალა პროექტში არსებული ნორმა **„დირექტორი უფლებამოსილია მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან გააფორმოს შედარებით დაბალი სტატუსის მქონე მასწავლებლის ხელშეკრულება“, შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს დაბალი სტატუსის მასწავლებლის ხელშეკრულება, დირექტორის წერილობითი დასაბუთების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“;**

16. **2021 წლის 30 დეკემბერს, ცვლილებები განხორციელდა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, რომლის თანახმად, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ:**

- იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომელთაც საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციები დაადასტურეს მინიმუმ ერთ კრედიტქულაზე;
- არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე დასაქმებულ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომელთაც საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციები დაადასტურეს მინიმუმ ერთ კრედიტქულაზე;
- არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე დასაქმებულ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომელთაც საგნობრივი კომპეტენცია დაადასტურეს 10 კრედიტქულაზე;

17. **2023 წლის 1-ელი იანვრიდან, საჯარო სკოლის მასწავლებლებს დეკრეტული შვებულების ანაზღაურებადი პერიოდი უნაზღაურდებათ სრული ხელფასიდან, დანამატების ჩათვლით.** ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში N33 „ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრისა და გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;

18. **2023 წლის 13 მარტის ცვლილებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დოქტორის/მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მასწავლებლები კარიერული წინსვლის პროცესში გათავისუფლდნენ თეორიული გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან;**

19. **2023 წელს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის პროცესში, მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის ელექტრონული საქაღალდის (პორტფოლიოს) წარდგენის ვადა გახანგრძლივდა იმ მასწავლებლებისათვის, ვისაც ჩაბარებული ჰქონდა პროფესიული უნარების გამოცდა;**

20. **2024 წელს, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის პროცესში მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის ელექტრონული საქაღალდის (პორტფოლიოს) წარდგენის დამატებით ვადად განისაზღვრა 2024 წლის ზაფხული, იმ მასწავლებელთათვის, ვისაც 2023 წელს დაუხარვეზდა პორტფოლიო, ან არ/ვერ წარადგინა და ვისაც აქვს დოქტორის/მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.**

სპმთპ დასაქმებულთა ინდივიდუალური შრომითი უფლებების დაცვისთვის წარმართავს მოლაპარაკებებს დამსაქმებლებთან და სასამართლო პროცესებს ყველა ინსტანციაში

2022-2025 წლებში, სპმთპ-ის იურიდიული დეპარტამენტი უძღვებოდა 31 სასამართლო საქმეს რაიონულ/საქალაქო/სააპელაციო/უზენაეს სასამართლოებში. წარმატებით დასრულდა 12 მასწავლებლის სასამართლო პროცესი, მათ შორის, აღსანიშნავია მასწავლებელთა კომპეტენციების დადასტურების საგამოცდო ტესტებში არსებული ხარვეზის დადგენის თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ოთხ მასწავლებელს დაემატა კრედიტ-ქულები და მათ აიმაღლეს სტატუსი; 3 მასწავლებლის უკანონოდ გათავისუფლების გამო, დამსაქმებლებს სავალდებულო განაცდურის ანაზღაურება

სასამართლომ დააკისრა. ჯამში, 120 000 (ას ოცი ათასი) ლარის ოდენობით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 21 აღმზრდელის თანაშემწის გათავისუფლება უკანონოდ სცნო ორი ინსტანციის სასამართლომ და სავალდებულო განაცდურმა შეადგინა ჯამში 200 000-მდე (ორასი ათასი) ლარი. ორი საქმე საკასაციოში დასრულდა მასწავლებლის სასარგებლოდ.

სპმთპ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გიორგი ქოსაშვილის აქტიური ჩართულობით ფოთის სასამართლოში ხუთწლიანი დავა მისი პირველივე ჩართულობით დასრულდა მხარეთა მორიგებით.

სპმთპ-ის იურიდიული დეპარტამენტი ინტენსიურად განაგრძობს სამათლებრივ კონსულტაციებს და წევრთა ინტერესების დაცვას სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეებზე.

ბოლო 2 წლის განმავლობაში სპმთპ-ის იურისტები წარმოადგენდნენ წევრთა ინტერესებს 20-მდე სკოლების სადისციპლინო სხდომაზე, უმრავლესობა წარმატებით დასრულდა, თუმცა არის არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება დისციპლინური კომიტეტის სხდომებზე, რაც გამოწვეულია სუბიექტური გარემოებებით და კომპეტენციის, ცნობიერების ნაკლებობით.

სპმთპ-ის იურისტები კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს გასცემენ ისეთ თემეტიკაზე, როგორიცაა: ბიულეტენის, დეკრეტული შებულების, არაანაზღაურებადი შვებულების, საგაკვეთილო საათების საკითხები და ა.შ. აგრეთვე მასწავლებლებს შორის საათების განაწილების პროცესი, მიუხედავდ იმისა რომ სამართლებრივად ნაკლები შესაძლებლობა არის პროფკავშირის ჩართულობის, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, მასწავლებლებისთვის უსამართლოდ განაწილებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა მეტნაკლებად სამართლიანად გადავანაწილებინეთ სკოლას.

მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება სწავლა-სწავლების სრულყოფისათვის

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის, **სპმთპ-ის „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრი"** 2015 წლიდან განაგრძობს საქმიანობას

2022-2024 წლებში, სპმთპ-ის "პროფესიული განვითარების ცენტრის" დირექტორის, მარიამ მკალავიშვილის ორგანიზებით ჩატარდა, სულ 288 ტრენინგი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წევრი მასწავლებლებისთვის, მათ შორის აღსანიშნავია:

- 56 საგამოცდოდ მოსამზადებელი გრძელვადიანი საგნობრივი ტრენინგი;
- 31 გრძლევადიანი საგნობრივი ტრენინგი;
- 11 ტრენინგი ჩატარდა მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების (პორტფოლიოს) თემაზე;
- სპეციალური ტრენინგ-პროგრამა საგამოცდო პროგრამის დასაძლევად აზერბაიჯანელი და სომხურენოვანი მასწავლებლებისთვის და სხვა...

მომზადდა ახალი სატრენინგო მოდულები: ბლოგის შექმნა, პორტფოლიოს ატვირთვა; კომპლექსური დავალებებით სწავლება ბუნებისმეტყველების / ბიოლოგიის V- IX კლასების მასწავლებლებისთვის; კომპლექსური დავალებებით სწავლება მათემატიკის V- IX კლასების მასწავლებლებისთვის); კომპლექსური დავალებებით სწავლება ქართულის, მათემატიკის, ბუნების კომბინირებული კლასის მასწავლებლებისათვის, ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შედგენა სსსმ მოსწავლეებისათვის, კომპლექსური დავალებების დიფერენცირებით სწავლება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და უნარების განვითარებისთვის, 2025 წლიდან დაწყებულია ტრენინგ-კურსი:

„ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში".

სკოლამდელ-საყმაწვილო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის განხორციელდა 224 ტრენინგი

შემდეგი თემატიკით: ბავშვთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, ბავშვთა უფლებები, ბულინგი Zoom პროგრამაში მუშაობა, Teams-ში მუშაობა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინკლუზია სკოლამდელი განათლების მეთოდიკა, მუსიკის სწავლების სტრატეგიები, პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რთული ქცევის მართვა, სტრესის მართვის მექანიზმები, საგანგებო სიტუაციების მართვა და შრომის უსაფრთხოება.

სპმთპ-ის პროფესიული განვითარების ცენტრმა ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან - შპს „ჯეოსეიფთი“ და „საგანგებო სიტუაციების მართვისა და შრომის უსაფრთხოების“ თემაზე, პირველად ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა 19 ტრენინგი სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, რაც დაეხმარებათ მათ ავტორიზაციის გავლის პროცესში.

შეიქმნა ახალი სატრენინგო მოდულები:

აღსაზრდელის პორტფოლიო (დაკვირვება, შეფასება), ბავშვის უფლებათა მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, კურიკულუმის დაგეგმვა და დანერგვა, ავტორიზაციის პროცესში დასახმარებლად ტრენინგი თემაზე: ავტორიზაციის დროებითი წესი და სტანდარტები, კომუნიკაციის მექანიზმები (კომუნიკაცია მშობლებთან, თემთან), ბაგა-ბაღებში დასაქმებულთათვის კომპიუტერული უნარების განმავითარებელი ტრენინგები.

პროფესიონალ მასწავლებელთა საკონსულტაციო საბჭო

სპმთპ-ის XI საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის გადაწყვეტილების შემდგომ 2023 წლის თებერვალში დაფუძნდა „სპმთპ-ის პროფესიონალ მასწავლებელთა საკონსულტაციო საბჭო“, ყველა მუნიციპალიტეტიდან 76 ავტორიტეტული მასწავლებელის შემადგენლობით და ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ჯგუფის წარმომადგენლის, ესგ-ისა და ავტორიზაციის ექსპერტის, ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელის როლანდ ხოჯანაშვილის ხელმძღვანელობით.

„სპმთპ-ის საკონსულტაციო საბჭოს” წევრებმა, ოთხ ეტაპად სპმთპ-ის საწირის პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე გამართეს ორდღიანი სამუშაო შეხვედრები და განსაზღვრეს სამოქმედო გეგმები.

საანგარიშო პერიოდისთვის, როლანდ ხოჯანაშვილმა პროფესიული მხარდაჭერა და თანადგომა აღმოუჩინა სპმთპ-ის წევრებს და სტურქტურულ ერთეულებს, მათ შორის:

- 24-საათიანი ტრენინგი სპმთპ-ის საწირის საგანმანათლებლო ცენტრში, თემაზე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ავტორიზაციის სტანდარტი, საფეხურის შედეგების გაზომვა, მასწავლებელთა პროფესიული ვალდებულებები და საჭიროებები“;
-20-საათიანი ტრენინგი , „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ავტორიზაციის სტანდარტები, საფეხურის შედეგების გაზომვა, მასწავლებელთა პროფესიული ვალდებულებები და საჭიროებები“ _ 10 ათასამდე მსმენელი საქართველოს 60-მდე რაიონული ორგანიზაციიდან;
- პორტფოლიოს წარმოების 60-ზე მეტი ტრენინგი;
- პროფესიული განვითარების 120-საათიანი ონლაინ-ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობს 3000-მდე მასწავლებელი;
- 50-საათიანი საგამოცდო ტრენინგები სპეცმასწავლებლებისთვის _ 300 მსმენელი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ტრენინგი _ 200 მსმენელი;
-30-საათიანი ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო-საკომპეტენციო ტრენინგი _ 300 მსმენელი;
- ანალიტიკური წერის 10-საათიანი ტრენინგი _ 300 მსმენელი.

მასწავლებელთა პროფესიული კონფერენციები

სპმთპ-ის რაიონული ორგანიზაციების ლიდერების ორგანიზებითა და სპმთპ-ის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის, როლანდ ხოჯანაშვილის ფასლიტიაციით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია:

- ორი ეროვნული ონლაინ კონფერენცია „მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, საერთაშორისო გამოცდილება ჩვენს პრაქტიკაში და მათი გაზიარება“ უფროსი, წამყვანი, და მენტორი მასწავლებლების მონაწილეობით;
- ონლაინ ეროვნული კონფერენცია უსტატუსო მასწავლებლებისათვის „ჩემი წარმატებული აქტივობა";
- 12 რაიონული კონფერენცია: ქუთაისი, ზუგდიდი, მცხეთა, დმანისი, ბოლნისი, ახმეტა, მარნეული, გურჯაანი, საგარეჯო, გორი, თერჯოლა, აბაშა;
- რეგიონალური კონფერენცია ქობულეთში: ბათუმის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ლანჩუთის უსტატუსო მასწავლბელების მონაწილებით;
- რეგიონალური კონფერენცია ქედაში: ქედას, ხელვაჩაურის, შუახევის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 150-მდე უსტატუსო მასწავლლების მონაწილეობით;
- რაიონული კონფერენცია ხულოს უსტატუსო მასწავლებლებისათვის;
- ეროვნული კონფერენცია ლანჩხუთში: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთის და ფოთის წევრი პედაგოგებისთვის;
- მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია ხაშურში -"წარმატებული სასწავლო პრაქტიკის გაზიარება" ხაშურის, ქარელის, ხარაგაულის და ბორჯომის საჯარო სკოლების სპმთპ-ის წევრი 200-მდე წამყვანი და მენტორი მასწავლებელის მონაწილეობით

დანიური პრაქტიკის დანერგვა – გაზიარება

- 2023 წლის 1-ელ ივლისს ქ თბილისში **ეროვნული კონფერენცია - „დანიური სწავლების მეთოდოლოგიების დანერგვა საქართველოში და მიღწეული შედეგების გაზიარება"**. კონფერენციაზე პრეზენტაციებით წარსდგა 12 წარმატებული მასწავლებელი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 400-მდე მასწავლებელმა;

- ქ. თბილისის N215 საჯარო სკოლის დირექტორის თამილა თამაზაშვილის ინიციატივითა და სპმთპ-ის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციის ლიდერის, ესგ-სა და ავტორიზაციის ექსპერტის, მენტორი მასწავლებლის დანიურ-ქართული პროექტის კოორდინატორის ეკა ჭელიძის ორგანიზებით გაიმართა 2 ეროვნული კონფერენცია -„დანიური სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვა საქართველოში", თბილისის N215 სკოლის ბაზაზე და დედოფლისწყაროში;

- 2024 წლის 9 მარტს ქ.ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა **საერთაშორისო კონფერენცია „დანიის საუკეთესო პრაქტიკა ქართულ სკოლებში მომავალი წარმატებისათვის"**, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 დანიელმა ექსპერტ-მასწავლებელმა და 15-მა ქართველმა მასწავლებელმა. საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობდა საქართველოს ყველა რეგიონის 400 მასწავლებელი;
- საქართველოში, სკოლამდელი განათლების რეალობაში, პირველად საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთა პირველი რაიონული კონფერენცია ლანჩხუთში გაიმართა, სპმთპ-ის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ლელა ქურიძის ინიციატივით.

„პედაგოგთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის პრაქტიკულმა შედეგებმა ჩვენს წევრებში დაამკვიდრა პროფკავშირის ძირითადი მიზნებისA და ამოცანების გააზრების შესაძლებლობა. თითოეული წევრის პროფესიონალიზმი და საზოგადოებრივი აქტივობა ამაღლებს პროფკავშირის როლს! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება - განათლების ხარისხის სრულყოფისათვის. აღსანიშნავია, რომ პროფესიონალიზმის ამაღლების პარალელურად, პედაგოგებში პროფკავშირულ საქმიანობაში აქტიურად ჩართვის მოტივაციაც იზრდება“

პრეზიდენტი მაია კობახიძე

საანგარიშო პერიოდში, სპმთპ-ის პრეზიდენტის მაია კობახიძის ინიციატივით სპმთპ-ის სტრუქტურული ერთეულების წევრი მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერისა და ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით სპეციალური პროგრამა დაიწყო სპმთპ-ის ახლადრეაბილიტირებულ საწირის პედაგოგთა სატრენინგო-დასასვენებელ სახლში.

სპმთპ-ის წევრ პედაგოგებს პროფესიულ საჭიროებებზე აგებულ ტრენინგებთან ერთად ეძლევათ შესაძლებლობა იმსჯელონ შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსა და სასკოლო ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებზე, პროფკავშირის როლსა და მის გაძლიერებაზე სასკოლო დონეებზე.

საანგარიშო პერიოდში საწირის ბაზაზე სამდღიანი გადამზადება გაიარეს ქუთაისის, წყალტუბოს, გორის, დედოფლისწყაროს, მცხეთის, ლანჩხუთის, სამტრედიის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ჩოხატაურის, მარნეულის სპმთპ-ის წევრმა მასწავლებლებმა. აგრეთვე, ხუთდღიანი სპეციალური პროგრამა განხორციელდა გურიის სამი რაიონის: ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის აქტივისათვის.

2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისში, სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფკავშირის საქმიანობის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით გაიმართა 4 რეგიონალური შეხვედრა, სპმთპ-ის 1000-მდე წევრის მონაწილეობით.

ვ ი თ ხ ო ვ თ!

- **მასწავლებელთა/პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასების ზრდას**
  „მაღალმთიანი ხეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული დანამატი გაიცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ყველა დასაქმებულისათვის
- **სკოლებისა და საბავშვო ბაღების ადმინისტრაცია/ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდას**
  სკოლამდელი დაწესებულებების დასაქმებულთა ხელფასის მინიმალური ზღვრული ოდენობის დაგენას და ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სახელფასო სტანდარტის დამკვიდრებას
- **სკოლამდელი დაწესებულებების რეფორმას**
- **აღმზრდელებისათვის პედაგოგის სტატუსის მინიჭებას**
- **საბავშვო ბაგა-ბაღების დასაქმებულთათვის ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტს**
- **საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსების გათანაბრებას**

ზ. ჟვანიას მოედანი ს. არშბას ქ 5 თბილისი www.educator.ge
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი